№ 11. 17 იანვარი, სამშაბათი. 1866—1884 17 იანვარი, სამშაბათი. № 11.

რედაქცია
სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი
მთელის წლისა. . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა
ამ 1884 წლისათვის გაზეთს
დროებაზედ
(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.
თელავში, ვანო როსტომაშვილთან.
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.
ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.
გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба».

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| წლით (12 თვით) | — — 9 მან. | 6 თვით | — — 5 მან. |
| 11 თვით | — — 8 მ. და 50 კ. | 5 თვით | — — 4 მ. და 50 კ. |
| 10 თვით | — — 8 მან. | 4 თვით | — — 4 მან. |
| 9 თვით | — — 7 მ. და 50 კ. | 3 თვით | — — 3 მან. |
| 8 თვით | — — 7 მან. | 2 თვით | — — 2 მან. |
| 7 თვით | — — 6 მან. | 1 თვით | — — 1 მან. |

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.
ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

არწრუნის თეატრი.
ოთხშაბათს, 18 იანვარს
სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება ორი მოსწავლე ყმაწვილის სასარგებლოდ
I
სადაო მემკვიდრეობა
სამ-მოქმედებიანი კომედია, თარგმ. თ. დ. ზ. ერისთვისა.
II
ბიძიასთან გამოხუმრება
რუსულს ენაზე.
ანტრაქტებში ხორით სიმღერები.
დასაწყისი 8 საათზედ. (2—1)

## სასიკეთო ცვლილება ქალაქების თვით-მმართველობაში

თბილისი, 17 იანვარს.

საქალაქო დებულებაში დღემდის ზოგიერთა ისეთი მუხლები არსებობენ, რომელნიც ხელს უშლიან ქალაქების თვით-მმართველობის წარმატებას. მრავალი სრულიად სამართლიანი საყვედური, რომელსაც მიმართვენ ხოლმე ქალაქის მმართველობას მისი მოკეთენი, უმეტეს ნაწილად წარმოსდგება თვით საქალაქო დებულების ზოგიერთა წესების უვარგისობისაგან. საუკეთესო ნაწილს საზოგადოებისას კარგა ხანია შეუგნია თვით-მმართველობის მნიშვნელობა და მისი წარმატების დამაბრკოლებელნი იმიზეზნი. მას აქეთ, რაც რუსეთში შემოიღეს ერობა და ქალაქების თვით-მმართველობა, ბევრი ლაპარაკი ყოფილა თვით-მმართველობის შესახებ: მრავალ მოკეთეთა შორის თვით-მმართველობამ ურიცხვი მტერიც შეიძინა; ამ უკანასკნელთ ხელს უწყობს ზოგიერთი ისეთი კანონები, რომელზედაც თვით-მმართველობა დაუმყარებიათ; თვით-მმართველობათა ბედი სწორედ უკუღმა დატრიალდა და მათ ვერ მოუტანეს ხალხს და საზოგადოებას ის სარგებლობა, რომელსაც მათგან სამართლიანად მოელოდენ. საზოგადოებას გაუცრუვდა ზოგიერთა იმედები და ბევრნი ამის გამო გულგრილად შესცქერიან თვით-მართველობის საქმეს.

უმთავრეს ნაკლულევანებად და მიზეზად საზოგადოდ თვით-მართველობისა და კერძოდ საქალაქო დებულებისა უნდა ჩავთვალოთ ის კანონი, რომლის ძალითაც თვით-მმართველობაში მონაწილეობა ეკუთვნის მხოლოდ მემამულეთა, უძრავ ქონებათა მეპატრონეთა და სავაჭრო გადასახადის გადამხდელთა, ესე იგი, მოვაჭრეთა; ერთი სიტყვით, მიზეზი თვით-მართველობის შეფერხებისა არის ისა, რომ კანონის ძალით თვით-მართველობაში მონაწილეობას არ იღებენ განათლებულნი პირნი, თუ მათ არა აქვთ მამული, ან უძრავი ქონება, ან და სავაჭრო მოწმობა; ქონებრივს ცენზს კანონის ძალით უპირატესობა აქვს მინიჭებული განათლებითი ცენზის წინაშე და ამიტომაც განათლებული ნაწილი საზოგადოებისა და ხალხისა მოკლებულია საშუალებას მონაწილეობა მიიღოს იმ დაწესებულებაში, რომელზედაც დამოკიდებულია ქვეყნის ავი და კარგი. ამ გარემოებას, რასაკვირველია, ცუდი გავლენა უნდა ჰქონოდა თვით-მმართველობის საქმეზე; განათლებული ნაწილი საზოგადოებისა უფრო გონიერი და შორს-მჭვრეტელია, და მას

«დროების» ფელეტონი, 16 იანვარი.

### გმირი ზღაპრისა

(პასუხი, თ. დ. თუმანიშვილს).

სადაც არ საუნჯე თქვენი,
მუნცა იყოს გული თქვენი.

1883 წელსა ნოემბრის პირველსა დღესა თბილისის სამოსამართლო პალატაში იყო დანიშნული აპელაციით განსახილველად საქმე თ. ნიკოლოზ მეგრელიისა და აზნაურ გეგელიათა შორის შესახებ ჭიბიის მთისა. ოთხის დღის წინედ სხდომისა, ესე იგი 26 ოქტომბერს «დროებაში» გამოიცა მეგელიების ადვოკატის თ. დიმიტრი თუმანიშვილის წერილი, მოქცეული სამს ნომერში 212, 213 და 214

წერილებმა მიიქციეს თვისდამი ქართულის მკითხველის საზოგადოების გულმტკივნეული ყურადღება. ან კი რა შესაძლებელი იყო, რომ უგულმტკივნეულოდ აღმოეკითხა რომელსამე ქრისტიანეს მოხსენებული გულის საწვავი წერილები. მართლადაც, მეცხრამეტე საუკუნოების დასასრულში, როდესაც ყოველნი განათლებულნი ერნი ცდილობენ აღამაღლონ თვითეული კაცის მნიშვნელობა, ჰქადაგებენ თანასწორობას ყოველთ გონიერთ სულდგმულთა შორის, ვითარცა ღვთის სახიერებისა და მსგავსების მქონისა, — აქ ვხედავთ იმავე კაცის დაჩაგვრას, დამცირებას კაცობრივის ღირსებისა, მიწასთან გასწორებას მდიდარისა და მძლავრისაგან, რომლისა წინაშე ყოველნი სწევენ პირსათნოებას და მოსამართლენი გადადიან სიმართლესა.

თ. თუმანიშვილი ამბობს—თ. მეგრელიისას არა სურს, რომ მისი მამული—მაიორატი გაიბნეს, ანუ დაიკარგოს უმართლოდ, ამისათვის არა ზოგავს არც ფულს, არც საშუალებას, რადგანაც პასუხის-მგებელია მმართებლობის წინაშე.—ხოლო მისი ვექილები რომელთა შორის უპირატეს, ადგილს მაკუთნებს მე, ვცდილობთ ყოვლის ღონისძიებით და საშუალობით საქმის მოგებას, რომლისა გამო ჩვენის ხელიდგან გამოდის თურმე—მოწმების შეყიდვა, ძალ-დაძალ თავ-დასხმა, ჩუმჩუმად ტანტალი ქალაქში საიდუმლო წიგნებით და სხვაინ.

აღშფოთდება ესეოდენის უსამართლოებით თ. დიმიტრი თუმანიშვილი, მისი უმანკო ბუნება ვერ ითმენს ზნეობის შერყევას,—გამოდის მეიდანზედ, ვითარცა ახოვანი, და, გმირი და მომართავს საზოგადო სამართალს. ამ უკანასკნელ წრეზედ სრულიად ვეთანხმები თ. დიმიტრი თუმანიშვილს,—რომ საერო სამართალი არის მტკიცე, უტყუარი, პირუთვნელი, თითქმის თანასწორ ღვთაებრივის სამართლისა, «ხმა ღვთისა, ხმა ერისა.» მაგრამ ვგონებ, რომ თუმანიშვილს ამ შემთხვევაში შეუპყრავს ხელში მისთანა ჯოხი, რომლის ერთის წვერით სცემს მოპირდაპირეს, ხოლო მეორე წვერი ბრუნდება და თითონ მპყრობელს თავზარს დასცემს.

იცოდეს თუმანიშვილმა, რომელ ის ხალხი, რომელიც ნებას არ მისცემს არავის უსამართლოდ კაცის დაჩაგვრას, თავის მძლავრის მკლავებით შეიკავებს შერყეულს უმანკოებას, რომ მიწაზედ არ დაეცეს და არ განადგურდეს,—იგივე ერი, როდესაც დარწმუნდება, რომ უწმინდეს სახურავსა ქვეშე ზნეობისა დაფარულია მაცდურება, ნივთიერი პირადი ანგარიში და ანგაარება, მაშინ იგი ერი გალომებული დაეცემა მაცთურსა მას, მოჰგლეჯავს სახურავს, და მის ნაგლეჯებს მისცემს ქარსა.

აქ იბადება ერთი ფრიად საგრძნობელი საკითხავი: რა გვარის განზრახულებით ხელმძღვანელობდა თავადი თუმანიშვილი ამ წერილის წერის დროს? ეს ისეთი შესანიშნავი საკითხავია, რომ თვით თუმანიშვილს დაუსაკუთრებია მისთვის თავის წერილებში უპირველესი ადგილი.—ყური დაუგდეთ, რას ამბობს დასაწყისშივე: «არა პირადი სარგებლობა, არამედ წრფელი სურვილი, რომ არ დაიჩაგროს მართალი მხარე შეუძლებლობის გამო, იმ შემთხვევაში, როდესაც მასა აქვს საქმე დიდ და მძლავრს კაცთან, მაიძულებს მე აღვძრა მსჯელობა თქვენის გაზეთის საშუალებით» და სხვ.

დიდად მიკვირს, თავადო თუმანიშვილო, რა საჭირო იყო ამ ნაირად წინასიტყვაობის დაწყობა? არა სჯობდა რომ ნება მიგეცათ თვით წამკითხველისათვის თქვენ მიერ წარმოდგენილის საქმის გარემოებებიდგან გამოეყვანა ის აზრი, რომ ესოდენ ქველ-საქმეების მომქმედს არ ექნებოდა პირადი სარგებლობა. მაგრამ, გეტყობათ, გულში გქონიათ რამე ეჭვი; გეტყობათ, დაწერის დროს დიდ ბრძოლაში იმყოფებოდენ თქვენი კალამი და თქვენი გული—სინიდისი. მაგრამ ერთმა აზრმა სრულიად გამოგაფხიზლათ, ღონე და კადნიერება მოგანიჭათ:—«სხდომამდის ოთხი დღეა დარჩენილი, ჩემი მოპირდაპირე, რომელმაც იცის გარემოება, პეტერბურგშია, მე ამითი ხალხს დავაჯერებ, ქვეყანას შევაბრალებ, იქნება როგორმე საქმე მოვიგო ნოემბრის პირველსა და მერმე, რაც უნდა სთქვან, ეს ხომ პირველი არ იქნება ჩემზედ ნათქვამი». მაგრამ იქნება, სწორედ

უკეთაც ესმის ყოველი საზოგადო საქმე, ვიდრე ვაჭართა და სხვა და სხვა ქონების მეპატრონეთა, თუ ესენი მოკლებულნი არიან სწავლა-განათლებას. ყოველს დაწინაურებულს ქვეყანაში განათლებულს ნაწილს საზოგადოებისას და ხალხისას უპირატესობა ეძლევა ყოველს საზოგადო და საქვეყნო საქმეში.

სწავლა-განათლებას მთელს ევროპაში მინიჭებული აქვს ცენზი, რუსეთში კი იგი ჯერ-ჯერობით მოკლებულია თავის უფლებას, და ეს გარემოება, როგორც ვთქვით, ხელს უშლის თვით-მმართველობის წარმატებას. თვით-მმართველობა საერო და საქალაქო ისეთი დაწესებულებაა, რომელსაც ხელთ აბარია სწავლა-განათლების საქმე, საექიმო ნაწილი, გზების გაყვანა, ქალაქების გასუფთავება, გამშვენიერება, საზოგადო ჯანმრთელობა და სხვ. და სხვ. ახლა ვიფიქროთ, როგორ უნდა იწარმოოს თვითოეულ ამ საგანთაგანმა, თუ რომ თვით-მმართველობის წევრნი არიან გაუნათლებელნი, უმეცარნი პირნი, რომელთაც წერა-კითხვა ძლივღა იციან, თავიანთ სიცოცხლეში არშინი ხელიდგან არ გაუგდიათ და სასწორს არ გაშორებიან? ყველა დასახელებული საგნების ბედი იმ კანონის ძალით, რომელიც რუსეთში წარმოობს, უმეტესს ნაწილად დამოკიდებულია უმეცართა მოსაზრებაზე, რომელნიც საზოგადოდ ხელმძღვანელობენ მხოლოდ პირადი შეხედულობით და სარგებლობით.

ამ გარემოებას კარგი ხანია, რაც რუსეთში ყურადღება მიაქცია საზოგადოების და მწერლობის დაწინაურებულმა ნაწილმა. კახანოვის კომისიამ, რომელმაც შეისწავლა და გამოიკვლია ადგილობრივი დაწესებულებანი და თვით-მმართველობა, ყურადღება მიაქცია იმასა, რომ რუსეთში სწავლა-განათლებას და ქონებას ცენზი არ ეძლევა საზოგადო საქმეებში. ამ ჟამად თვით-მმართებლობას მიუქცევია ყურადღება ამ საქმისათვის და, როგორც იწერებიან, განზრახვა აქვს ცვლილება მოახდინოს საქალაქო დებულებაში; მმართებლობის განძრახვით საჭიროა ქალაქების თვით-მმართველობაში განათლებულ პირთა მოწვევა: უფლება არჩევანისა მიენიჭებათ საშუალო და უმაღლესი განათლების მქონეთ, თუ კი ესენი სცხოვრობენ ქალაქში არა ნაკლებ ორი წლისა და იხდიან სადგომას ფულსა; მათ არ მოეთხოვებათ არც უძრავი ქონება და არც სავაჭრო მოწმობა, ამ საქმისათვის მმართებლობა აპირებს კომისიის შედგენას, რომელშიაც, როგორც იწერებიან, მონაწილეობა უნდა მიიღონ, სხვათა შორის, სხვა-და-სხვა ქალაქების თვით-მმართველობის წარმომადგენელთაც.

## შინაური ქრონიკა

— იანვრის გასულს თბილისის გუბერნატორი აპირობს გორის მაზრაში წასვლას, რომ იმის თანა-დასწრებითვე შეუდგნენ გლეხ-კაცებისაგან «ნადელების» შესყიდვის საქმეს. ეს საქმე მინდობილი ექნება მომრიგებელ შუამავლებს და განსაკუთრებულს ჩინოვნიკს, თვით გუბერნატორისაგანვე დანიშნულს. როგორც შევიტყეთ, «ნადელების» შესყიდვა სააბაშიოდამ დაიწყება.

— ტყუილად კი არ არის ნათქვამი: «რასაც კაცი თავის თავს უზამს, მტერი ვერ უზამსო». აქამდის კიდევ ზოგიერთებს ეჭვი ჰქონდათ, იქნება «დროებაში» გამოცხადებული ამბავი შესახებ ექზეკუციის უფროსისაგან ქალის მოტაცებისა ტყუილი იყოსო, მაგრამ ეხლა ყოველივე ეჭვი უადგილო იქნება იმისთვის, ვინც კი წაიკითხა «ნოვოე ობოზრენიის» 12 №-ში თავის-გამართლება ყაბარდოული ზ. სერებრიაკოვისა, რომელიც თვითონვე აღიარებს — მე შემეხება ეგ ამბავი, მე ვარ მაგ საგმირო საქმის მომქმედიო და თან უმატებს: «დროებაში» გამოცხადებული ამბავი ჭორებისა და მითქმა-მოთქმის ნაყოფიაო. ეგ ერგნეთში კი არ მოხდა, ტბეთში მოხდაო; მე არავინ არ მომიტაცნია, ჩვენის ჩვეულებისამებრ მოვურიგდი თითონ ქალის დედას, ძმას ბიძებს და ისე წამოვიყვანე ქალიო; ერთმანერთს პირობის ქაღალდიც მივეცით, რომელზედაც ხელი უწერიათ, როგორც მოწმებს, ზოგიერთ თავადიშვილებსაცაო და ეს პირობის ქაღალდი თვით ადმინისტრაციისაგანვე არის დამტკიცებულიო. ტყუილი არის, ვითომ დედასა და ნათესავებს წინააღმდეგობა გაეწიოთ და მე ყაზახების შემწეობით ძალადობა მეხმაროსო. ამ გვარად დაქორწინება ჩვენში და ოსებში ჩვეულებად არის შემოღებული და ბევრი გორის მაზრის თავადიშვილიც ამ გვარსავე წესს მისდევს, და ეს ჩვეულება «დროების» კორესპონდენტებს არა სცოდნიათო.

შეგვიძლიან დავარწმუნოთ ყაბარდოული ზ. სერებრიაკოვი, რომ ჩვენს კორესპონდენტს უკეთ სცოდნია გორის მაზრის ამბავი, სანამ თვითონ მას. შეგვიძლიან დავარწმუნოთ, რომ გორის მაზრის ოსებში მოტაცებით ქალის შერთვა არსად არ არის შემოღებული და რომ თავადიშვილებშიაც იყოს ამ გვარი წესი ეს მუქთი ულუფის შემდეგ ტკბილს ძილში თუ მოსჩვენებია. დავარწმუნებთ ზ. სერებრიაკოვს, თუ თითონ არ იცის, რომ ის ქალი, რომლის გულისთვისაც ჩვენს დამშვიდებულს გორის მაზრაში ყაბარდოული ჩვეულებები შემოიღო, სხვაზე იყო დანიშნული და როგორც ქალი, ისე დედა წინააღმდეგნი იყვნენ ამ გვარის ძალადობისა. მაგრამ თუ ბიძებთანა და ძმასთან გარიგებით გაათავა საქმე, ამ გვარი საზიზღარი ვაჭრობა ნებას არ აძლევდა, რომ საქვეყნოდ გამოსულიყო და საზოგადოების წინაშე თავი გაემართლებინა.

გრძლად ლაპარაკს არ მოუყვებით ზ. სერებრიაკოვს და ორს რასმესა ვკითხავთ მხოლოდ: რომელი კანონია იმისთანა, რომელიც მახმადიანს ნებას აძლევდეს ქრისტიანი ქალის (გორის მაზრის ოსები სულ ქრისტიანები არიან) მოტაცებას და მასთან ქებინის გაჭრას? რომელმა ადმინისტრაციამ დაუმტკიცა

---

კიდეც დაგავიწყდათ, ამიტომ რომ თქვენ ისეთ ნაირად იყავით აღტაცებული საწყლების სიბრალულით, ისეთ ნაირად გახრჩობდათ გრძნობა კაცთ-მოყვარეობისა, — გასაკვირველიც არ არის, რომ არ მოგგონებოდათ, თუ რა სარგებლობა მოგელოდათ მაგ საქმიდგან. ამის გამო, მე შეგეწევით, მე მოგაგონებთ დავიწყებულსა. თქვენა გაქვთ კანონიერი პირობა ზეგელიებთან, თქვენ გამოგირკვევიათ თქვენთვის არა თუ საზოგადოდ ადვოკატებისათვის მიღებული წილი, არამედ ნამდვილი ლომის-ლუკმა. «ზეგელიები მოვალენი არიან საქმის დასასრულში მიანიჭონ თ. დიმიტრი თუმანიშვილს მთელის ქვიბიის მთიდგან სრული ნახევარი. აი თქვენი ოქროს კერპი, რომელსაც თაყვანსა სცემთ. აი საუნჯე, რომლისათვისაც ესოდენ იღვაწით და თბილისის ქუჩებში დატანტალებთ და ყოველ შემხვედრელს, ცნობილსა და უცნობს ხელში აძლევთ «დროების» ფურცლებსა, — ან რა გასაკვირველია — სადაც საუნჯე თქვენია, მუნცა გული თქვენი იმყოფებოდეს.

ახლა მივმართავ საქმის ფაქტიურს მხარესა. ამ შემთხვევაში მთელი თუმანიშვილის წერილი შეიცავს თვის შორის სამს უმთავრესს ნაწილს:

1) დასაწყისი საქმისა, ანუ უკეთ ვსთქვათ, გამაღვიძებელი მიზეზი საქმის დაწყობისა.

2) თუმანიშვილისაგან სასამართლოებში წარმოდგენილი საბუთების განხილვა და ქართულიდგან რუსულად გადმოღება მათი.

3) ზეგელიებისაგან მთავარ გრიგოლ დადიანის წყალობის წერილის დაკარგვა და პოვნა.

შესახებ საქმის დაწყობისა თ. დიმიტრი თუმანიშვილი 213 ნომერში ამბობს: «ბატონს ახვლედიანს და ტერსტეფანოვს მოსწონებიათ ზეგელიების ქვიბიის ტყე და განიზრახეს მისი დასაკუთრება თ. ნიკოლოზ მეგრელიის სახელზედ; ამ განზრახვით 1870 წელსა, როცა თავადი მეგრელიისა რუსეთში იყო, თომა ახვლედიანის განკარგულებით, რამდენიმე შეიარაღებულნი პირნი დაეცნენ ზეგელიებს და ძალით გამოდევნეს საწყალი ზეგელიები თავიანთ საკუთარის ტყიდგან; მოხდა ერთი ხმლის ტრიალი, ცემა-ტყეპა; ბოლოს თ. მეგრელიის მომხრეებმა აჯობეს ძალით და დაინარჩუნეს ზეგელიების ტყე იმ აზრით, რომ ზეგელიები აღარ უნდა შეეშვათ თავიანთ ტყეში».

ეს თქმულება თუმანიშვილისა არ არის მართალი: არავითარი ძალადობა არ მოხმარებულა თომა ახვლედიანის განკარგულებით, არამედ აი საქმე როგორ იყო: 13 იანვარს 1870 წელსა, როცა თ. მეგრელიისა იმყოფებოდა სამეგრელოში და არა პეტერბურგში, მისმა მაშინდელმა ვექილმა ბ. საყვარელიძემ, რომელიც ჩემზედ წინად აწარმოებდა თ. მეგრელიის სადავო საქმეებს, შეიტანა სენაკის მომრიგებელ-მოსამართლესთან არზა, რომელშიაც განაცხადა, რომ აზნაურთ ზეგელიებს ძალით დაუფლებიათ თ. მეგრელიის კუთვნილი ქვიბიის ტყე და ამის გამო ეთხოვნა მოსამართლისათვის, აღადგინოს დარღვეული მფლობელობა თ. მეგრელიისა ქვიბიის მთაზედ. სამოსამართლო პალატის საქმეში იპოება სენაკის მომრიგებელი მოსამართლის განჩინება, შედგენილი 30 იანვარს 1871 წელსა, რომლიდგანაც სჩანს, რომ მოსამართლეს აღუდგენია უფლება მეგრელიისა ქვიბიის მთაზედ და აღუკრძალავს ზეგელიებისათვის მისი ხმარება, ანუ სარგებლობა. ეს კოპიო წარმოდგენილია საქმეში თვით დიმიტრი თუმანიშვილისაგან; ახლა ვკითხოთ მას — საიდგან უნდა მომწონებოდა მე ქვიბიის მთა, რომ საქმის დაწყობის დროს ჯერ არცკი ვიყავ თ-თან მეგრელიისა ვექილად მისული. თ. მეგრელიის კაცებს არათუ ძალადობა უხმარიათ, არამედ მიუმართავთ სამართლისათვის. დიდად მიკვირს თუმანიშვილისაგან — იმას მაინც მოიგონებდა რომ ეს განჩინება სასამართლოსი თითონვე აქვს წარდგენილი სასამართლოში, მაგრამ იქნება დაავიწყდა, რადგანაც ნათქვამია — «ტყუილის მოლაპარაკეს სუსტი მეხსიერება ექნება ხოლმეო».

ამის შემდეგ, დიმიტრი თუმანიშვილმა, ვითარცა ზეგელიების ვექილმა, დაიწყო დავა საკუთრებაზედ და შეიტანა საჩივარი არათუ 1878 წელსა, არამედ 1872 წლის აპრილის 12-სა. ამაზედ მე სასამართლოში არავითარი პასუხი არ შემიტანია და ამ საქმეში თუმანიშვილს პირველად შევხვდი ქუთაისის ოლქის სასამართლოს სხდომაში. 5 თიბათვეს 1873 წელსა, სადაც მან წარმოადგინა კოპიო მთავრის გრიგოლ დადიანის წყალობის წერილისა 1804 წლისა. იმ დროს მე არაფერი პასუხი არ მიმიცია, მხოლოდ ვითხოვე, რომ საქმის განხილვა გადიდოს, ვიდრე გავიცნობდე წარმოდგენილ საბუთს, თანახმად 331 სტ. სამოქ. წესდ. შემდგომს სხდომაში, ესე იგი, 1873 წელსა, კათათვის 6 დღესა მე განვუცხადე სასამართლოს, რომ თუმანიშვილისაგან წარმოდგენილი კოპიო არ ეთანხმება კანონის მოთხოვნილებას და «უკეთუ კიდეც ვიგვარიშოთ, რომ არსებობს ნამდვილი წყალობის წერილი მთავრის გრიგოლ დადიანისა, რომლისა ნამდვილი არის მოხსენებული კოპიო, მაშინაც მაგ წყალობის წერილს არ ექნება იურიდიული მნიშვნელობა, რადგანაც დღიდგან მისი ბოძებისა, 1804 წ., დღევანდლამდე არა ყოფილა ის მოყვანილი აღსრულებაში, ესე იგი — ქვიბიის მთა თ. მეგრელიისა და მისის წინაპარების მფლობელობიდგან არაოდეს არ გამოსულა დათანახმად ამა მოაზრებისა, ვთხოვე სასა-

მმასთან და ბიძებთან შეკრული პირობის წერილი, იმისთანა საგანზედ, რომლის გასამართლებელი საბუთი მარტო მონობის ქვეყნების კოდექსში თუ მოინახება?

〰 გაზ. «ახალი მიმოხილვის» სიტყვით, ქალაქის სარევიზიო კომისიას აღმოუჩენია, რომ 1874 წ. დაფასების დროს ბევრი სახლები ერთი სამად და ოთხად ნაკლებ ფასად დაუფასებიათ მათ ღირებულობაზედ. ამის გამო, მალე ქალაქის გამგეობა შეიტანს საბჭოში პროექტს ქალაქის ხელმეორედ დაფასებისას. ამ დაფასების დროს შეუდგებიან აგრეთვე სადგურების დაფასებას, რომ შემდეგში სადგურებზე გარდასახადის შემოღების საფუძველი ჰქონდეთ.

〰 იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ მალე თბილისში მოვა მთავრობისაგან დანიშნული კომისია იმის განსახილავად, თუ რავდენად უნდა გამრავლდენ ჩვენს რკინის გზაზედ მატარებლები და როგორ უნდა გაკეთდეს სურამის ტუნელი, რომელსაც ექნება სიგძე 5 ვერსტი.

〰 ამ დღეებში მომსდარა პეტერბურგში ობერ-პროკურორის პობედონოსცოვის სადგურში სხდომა პალესტინის საზოგადოებისა თავსმჯდომარეობით დიდის მთავრის სერგეი ალექს.-ძისა, რომელზედაც ბ. ა. ცაგარელს მოუხსენებია თავის მოგზაურობის ამბავი სინაიზედ და პალესტინაში. ბ. ცაგარელს უამბნია, თუ როგორ საძნელო მოგზაურობა სინაის ნახევარ-კუნძულზედ და აუწერია დაწვრილებით სინაის მონასტერი, აშენებული მეექვსე საუკუნეში, როგორც ანიშნებს ზედ-წარწერა შესავალ კარებზედ. ამ მონასტერში თურმე მრავალი ძველი ნივთეულობაა. მონასტრის წიგნთა-საცავში ბ. ცაგარელს უნახავს მარტო ქართული ხელ ნაწერი 88, განსაკუთრებით სასულიერო შინაარსისა და ჯერედ სრულიად უცნობი. მათ შორის შესანიშნავია თურმე ფსალმუნი VI—VII საუკუნისა პაპირუსზე დაწერილი. დანარჩენ ხელ-ნაწერებ შორის 66 პერგამენტზეა. ყველა ამ ხელ-ნაწერებისათვის ბ. ცაგარელს დაწვრილებით კატალოგი შეუდგენია. პალესტინაში უნახავს ბევრი ძველი ქართული მონასტერი, ეხლა მეჩეთებად გადაქცეულნი. მათში უპოვნია 138 ხელ-ნაწერი და გადმოუღია 32 სურათი ქართველ მეფეთა და სასულიერო პირთა და ცხრა ამ სურათთაგანი უჩვენებია სხდომაზე დამსწრეთათვის. ბ. ცაგარელს თვისის ფრიად მძიმე შრომისათვის მიუღია მადლობა დიდის მთავრისაგან. («ნოვოე ვრემია»).

〰 «მოსკოვის უწყებების» სიტყვით, მთელს რუსეთის იმპერიაში წელიწადში იხარჯება 200,000 ფუთი კასტორის (სასაქმებელი) ზეთი, როგორც წამლად, ისე სხვა-და-სხვა ფაბრიკებში. ეს ზეთი ღირს 2 მილიონ მანეთამდე და მოდის იტალიიდამ და ინდოეთიდამ. ჩვენს კავკასიაში არის ის მცენარე, რომლის მარცვლიდამაც ამ გვარივე ზეთი კეთდება. აფთიექრებსა და დოქტორებს გამოუცდიათ ეს ზეთი და უცვნიათ, რომ სრულიად იმ გვარივე მოქმედება აქვს, როგორც უცხო ზეთს და გემო კი ნაკლებად საზიზღარი.

〰 ჟურ. «იურიდიულ მიმოხილვას» გაუგია, ვითომც ჩვენი «პრივაზი» ცდილობდეს, რომ იმას მიეცეს ნება გაატანინოს ფული იმ მსესხებლთ, რომელთაც წინედ «პრივაზმა» გადაუწყვიტა გატანა გირაოთი, მაგრამ ვერ მოასწრეს ესარგებლნათ მის გარდაწყვეტილებით, აგრეთვე შეუსრულდეთ სესხის ჯამი იმ პირთ, რომელთაც გაიტანეს მხოლოდ ნაწილი სესხისა, რადგან «პრივაზში» არ მოიპოვებოდა მაშინ საკმარისი თანხა.

## ტელეგრამები

(ჩვენის კორესპონდენციისაგან)

ოზურგეთი, 16 დეკემბერს. რადგან მოსწავლე ბავშვებ შორის ქუნთრუშა (სკარლატინა) გავრცელდა, მაზრის ექიმის წინადადებით, სასწავლებლებში დროებით შეაჩერეს სწავლა.

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

13 იანვარს.

პეტერბურგი. გუშინ დაბრუნდა სამზღვარ-გარეთიდამ გარეშე საქმეთა მინისტრი სტატ-სეკრეტარი გირსი.

პარიჟი. წარჩინებული მწერალი ედმონდ-აბი საფრანგეთის აკადემიის წევრად ამოირჩიეს.

ამბავი მოვიდა, რომ ბაკინგის დათვალიერებამ დიდ-ძალი მტერი აღმოაჩინა იქ.

ლონდონი. ათი-ათასი კაცისაგან შემდგარი კორპუსის გაგზავნას აპირობენ ეგვიპტეში.

კაირი. ხედივის მმართებლობამ გადასწყვიტა დაიწყოს ახალი სამოსამართლო რეფორმები იმ სახელმწიფოთა დახმარებით, რომელთაც მონაწილობა ჰქონდათ მიღებული ხალხთა-შორებრივ სამსჯავროთა გამართვაში.

პეტერბურგი. «მმართებლობის მოამბეში» დაბეჭდილია მოსკოვის აზნაურობის უქვეშევრდომესი ადრესი, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: «ჩვენ მოხარულნი ვართ, ხელმწიფეო, რომ თქვენ აახლოვებთ ერთმანეთთან ორს წოდებას, რომელნიც არიან შეკავშირებულნი ურთიერთობრივის სარგებლობის და საერთო საქმის ბუნებრივი ჯაჭვითა; მათი კეთილი თანხმობა დაიცავს შინაურს მშვიდობიანობას და განამტკიცებს იმ კავშირს, რომელიც ნაჩვენებია 21-ს წარსულ მაისის რიცხვს წარმოთქმულს ღირს-სახსოვარს სიტყვებში; ეს თანხმობა შეჰქმნის სიმაგრესა, რომელიც იქნება თქვენი დიდებულების შეურყეველ ბურჯად ყოველს კეთილს საქმეში და შეუმუსრავ ძალად წინააღმდეგ სახელმწიფოს მტრების მზაკვრობათა». ხელმწიფემ კმაყოფილებით წაიკითხა ეს ადრესი და მადლობა გადაუხადა მოსკოვის აზნაურობას

---

მართლოს, რათა უარი ეყოთ გეგელიებსა». აი მე როგორ უარ-ვყოფდი ნამდვილის წყალობის წერილის არსებობას; მე მას არავითარი იურიდიულს მნიშვნელობას არ ვაძლევდი, რადგანაც გადასულია კანონი—ერთვადა 40 წლისა თანხმად მეფე ვახტანგის კანონისა (**земская давность по уложенію царя Вахтанга**), რომლითაც ხელ-მძღვანელობდა სამეგრელო.

ამის შემდეგ, ბ. თუმანიშვილს სხვა აღარა დარჩენოდა-რა, გარდა ამისა, რომ წარედგინა სასამართლოსათვის იმისთანა საბუთები, რომლებითაც უნდა დამტკიცებულიყო, რომელ აზნაურ გეგელიებს სხვა-და-სხვა დროს მირთმეულის არზებით მთავართ ლევან და დავითისადმი და მათ მიერ ზედ-წარწერილის რეზოლიუციებით ვადა არ დაუკარგავთ. და, აჰა, მათმა ვექილმა თუმანიშვილმა 6 კათათვეს 1873 წელსა წარუდგინა ქუთაისის ოლქის სასამართლოს: 1) წინადადება მთავრის ლევად დადიანისა 1830 წლის მაისის 10-დგან მოურავი კოსტა დგებუაძის სახელობაზედ, რომლიდგანაც სჩანს, ვითომც მთავარს ლევანს განუხილავს მღვდელი ვასილ გეგელიასაგან წარდგენილი გრიგოლ დადიანის ბოძების წერილი შესახებ ჭვიბიის მთისა, უპოვნია იგი მტკიცედ და უბძანებია მოურავისათვის მთა იგი გამოერიცხოს სამთავრო მამულების უწყებიდან და გარდასცეს გეგელიებს. 2) არზა ბაკირია და ვასილ გეგელიებისა, მირთმეული მთავარ დავითისათვის 13-ს ენკენისთვეს 1846 წელსა, რომელთან, წარმოადგენენ რა მთავრი ლევანის ბრძანებას და გრიგოლის წყალობის წერილს, სთხოვენ, რათა იგინი განიხილოს და დაამტკიცოს, რომლისა გამო ვითომც მთავარი დავითი იმავე არზაზედ წარწერით 28 ენკენისთვეს 1846 წელსა № 2774 უცხადებდეს მთხოვნელთა, რომ მან განიხილა ის საბუთები, ჰპოვა იგინი სამართლიანად და მიანიჭებს მათ სრული საბუთის ძალას სასარგებლოდ მთხოვნელთა. ამ დოკუმენტებზედ მე მაშინვე გამოვაცხადე ეჭვი, ესე იგი, რომ ამა წარწერილების ქვეშ დართული ხელი არ არის მთავართ ლევანისა და დავითისა და მასთანვე ვითხოვე, რომ გაირჩეს მათი თარგმანი.

ამის შემდგომ, იმავე სასამართლოს სხდომაში, 7 მაისს 1874 წელსა, თუმანიშვილმა წარმოადგინა ვასილი გეგელიას არზა მთავარ დავით დადიანისთვის მირთმეული 15 ოქტომბერს 1846 წელსა, რომელთან ადგენენ გრიგოლ დადიანის ბოძების ქაღალდს და ბძანებას ლევანისას, თხოულობენ მათ დამტკიცებას და ჭვიბიის მთის ჩაბარებას. ამ არზაზედ არისო ვითომც მეგრელიის უმაღლესის მმართველობისადმი მიწერილი ზედ-წარწერით ბძანება, 15 ოქტომბერს 1846 წელსა № 2917. ამავე სხდომაში მე განვაცხადე, რომელ ეს ზედ-წარწერა რაც არ არის დავით დადიანისაგან მოწერილი და ვითხოვე ოლქის სასამართლოსაგან ექსპერტების საშუალობით განხილვა სამივე საბუთზედ მყოფის ხელ-მოწერისა. 13 ნოემბერს 1874 წელსა, ქუთაისის ოლქის სასამართლოს განკარგულებით ზემოდ-მოხსენებული თუმანიშვილისაგან წარმოდგენილი დამატებითი საბუთები განიხილეს აღმორჩეულთ ექსპერტთა—ბბ. ნიკოლოოზ ლოლობერიძემ, ალექსანდრე ფიფინაშვილმა და სიმონ აბულაძემ, რომელთაც ჰპოვეს, რომელ ხელ-მოწერას მთავრის ლევან დადიანისას 10-ს მაისს 1830 წელსა და მთავრის დავითისას გეგელიას არზაზედ 28 სექტემბერს 1846 წელსა №2774 არავითარი მგზავსება არა აქვთ ნამდვილ ხელთან ლევანისა და დავით დადიანისა; ხოლო რაიცა შეეხება დავით დადიანის ხელ-მოწერას 1846 წლის 15 ოქტომბრისას № 2917, მასა აქვს მზგავსება დავითის ნამდვილ ხელთანა.— სრულებით ამ გვარივე განჩინება გამოაცხადეს შემდეგ პალატისაგან დანიშნულმა ექსპერტებმაც, ესე იგი, რომ ხელ-მოწერას მთავრის ლევან დადიანისას 10 მაისს 1830 წელსა და მთავრის დავითისას 28 ოქტომბერს 1846 წელსა № 2774 *) არავითარი მზგავსება არა აქვთ ნამდვილ ხელთან ლევანისა და დავით დადიანისა. ხოლო რაიცა შეეხება დავით დადიანის ხელ-მოწერას 1846 წლის 15 ოქტომბრისას № 2917, მასა აქვს მზგავსება დავითის ნამდვილ ხელთანა.

საფუძველსა ზედა ექსპერტების ამ გვარის განხილვისა, ქუთაისის ოლქის სასამართლომ და შემდეგ თბილისის სამოსამართლო პალატამ განაშორა თუმანიშვილისაგან წარმოდგენილის სამის საბუთიდგან ორი, ესე იგი, ზედ-წარწერანი მთავართ ლევანისა მაისის 10-დგან 1830 წლისა და დავითისა 28 ენკანისთვიდგან 1846 წლისა № 2774, ვითარცა ყალბად შედგენილნი, რომელნიცა შემდეგში სამოსამართლო პალატამ გარდასცა პროკურორს სისხლის სამართლის წესით მოსაპოებლად დამნაშავეთა. და როგორც ოლქის სასამართლო, ეგრეთვე პალატა დამყარდენ მარტო ერთს საბუთზედ, ესე იგი, მთავრის დავითის წარწერაზედ 15 ოქტომბრიდგან 1846 წლისა № 2917. აქედგან მკითხველი ცხადად დაინახავს, თუ ბ. თუმანიშვილი რა ნაირ საშუალობებით ცდილობდა საქმის მოგებას.

ისააკ ტერ-სტეფანოვი.

(შემდეგი იქნება)

---

*) ამის შემდეგ, იფიქრეთ, მკითხველო, რა კადნიერება უნდა ჰქონდეს ბ. თუმანიშვილს, რომ ამავე აქტზედ, რომელიც ორის სასამართლოსაგან ცნობილია ყალბად, თვის დამატებაში, 22 დეკემბრიდან, ლაპარაკობს და ჰკიცხავს ბ. ბაქრაძეს, რომ მან მისი ტექსტი ბნელად შერაცხა. ამაზედ მე დავუმატებ—არა თუ მარტო ბნელია, არამედ სრულიად ყალბი.

და აგრეთვე მოსკოვის გენერალ-გუბერნატორსაც.

ოდესა. მოსკოვი-კურსკის, კურსკის-კიევის და სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზები დათანხმდენ «რუსეთის ნავოსნობის საზოგადოებასთან» და შეამცირეს მინერალური ზეთების კავკასიის პორტებიდამ მოსკოვში მოტანის ტარიფი ფუთზე 57½ კაპეიკამდე.

ვენა. დღეს ფლორიდსდორფში მოკლეს რევოლვერით ჯაშუში (сыщикъ) ბლეხი. მკვლელმა დამალვა მოიწადინა, მაგრამ გამვლელ-გამომვლელთ დაიჭირეს და პოლიციაში მიიყვანეს; გარეგანი შეხედულობით მუშასა ჰგავს იგი, მაგრამ არაფრის თქმა არ უნდა. უპოვნეს დინამიტით გატენილი ყუმბარა, რევოლვერი და მოწამლული ხანჯალი.

14 იანვარს.

პეტერბურგი. «პეტერბურგის უწყებები» იწერებიან, რომ იმ კანონ-პროექტთან ერთად, რომელიც თხოულობს სულზე გასაწერი გადასახადის მაგივრად სახელმწიფო საადგილ-მამულო გარდასახადის მომატებას, სახელმწიფო რჩევაში შეტანილ-იქმნება ახალი პროექტიც. ამ პროექტის ძალით ათ-ათი შაური უნდა გადახდეს თვითეულს რუსეთის და მუდამ რუსეთში მცხოვრებს უცხო ქვეყნელ ქვეშევრდომს მამრობითი სქესისას თვრამეტიდამ ოთხ-მოც-დაათის წლის ხნოვანობამდის; ამ გარდასახადიდამ გაანთავისუფლებენ სამხედრო პირთა, დაჭრილთა, მოსწავლეთა, სამღვდელოებას, უცხო ქვეყნელ დიპლომატებს და კონსულებს და კიდევ იმათ, ვისაც მუშაობა არ შეუძლიან.

მოსკოვი. გუშინ გუბერნიის აზნაურობის კრებამ დაადგინა: შინაურს საქმეთა მინისტრის მიერ გამოუცხადონ მისს იმპერატორებით დიდებულებას დიდი მადლობა ხანგრძლივი სესხის მიცემისათვის.

ყაზანი. გუბერნიის აზნაურობის კრებამ დაადგინა: გამოუცხადონ ხელმწიფე იმპერატორს თავის ერთგული ქვეშევრდომითი გრძნობანი.

პარიჟი. ხვალ გორდონი სუდანში მიდის. როგორც ამბობენ, ამას მინდობილი აქვს სუდანის და ხორთუმის დაცლა. ჰფიქრობენ სუდანი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გახადონ იმ პირობით, რომ ვაჭრობა თავისუფალი იყოს და მონებით ვაჭრობა სრულიად მოისპოს.

15 იანვარს.

პეტერბურგი. მალე ფინანსთა სამინისტროს თაოსნობით მოხდება პეტერბურგში პირველი კრება აუქციონურ საადგილ-მამულო ბანკთა და საზოგადოებათა წარმომადგენლებისა.

იმ ტეხნიკურ სასწავლებელთა წარმატებისათვის, რომელნიც 1881 წ. სახალხო სამინისტროს გარდაეცნენ, პროფესორი ვიშნეგრადსკი მინისტრის რჩევის წევრად დაინიშნა.

განსვენებული პოეტის ჟუკოვსკის ქაღალდებში, გარდა ონეგინის, ანჯელოს და ბორის გოდუნოვის ორიგინალებისა, იპოვნეს კიდევ სხვა მრავალი წერილები პუშკინისა.

ბერლინი. გუშინ დაასაფლავეს ამერიკიდამ მოტანილი გამოჩენილი დეპუტატის ლასკერის ცხედარი; ამ პროცესიას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

პეტერბურგი. დღეს პრაქტიკული მკურნალების საზოგადოებამ იდღესასწაულა «წითელი ჯვრის საზოგადოების» დარბაზში პროფესორის ე. ი. ბოგდანოვსკის ხირურგიული მოქმედების 25 წ. იუბილეი. დარბაზი აივსო ექიმებით და მედიცინურ საზოგადოებათა და სამკურნალოთა დეპუტატებით. სხდომის თავ-მჯდომარეთ ბოტკინი იყო.


# განცხადებანი

## პ. წულუკიძის სტამბა

ქუთაისში

აბეჭდება და გამოვა 15 დეკემბრისსათვის ქართული «კედლის კალენდარი», სადაც იქნება სომხური დღესასწაულების ცნობები და ისტორიული შემთხვევები.

ფასი სამი აბაზი

ას-ასობით მყიდველებს წესიერი პატივი.

—

ისყიდება

«ვეფხის ტყაოსანი» შ. რუსთველის თხზულება სურათით, ათი შაური, უსურათოდ შვიდი შაური ას-ასობით მყიდველებს წესიერი პატივი. (30—12)

რკინაზედ ფასების დაკლების გამო, ყოველ გვარი რკინის კრაოტები 10% ნაკლებ ისყიდება. ინგლისის მაღაზიაში უამისოდაც 25% ნაკლებ ვყიდდით სანამ სხვა სავაჭრო სახლებში ჩვენვე მივიღეთ დიდ-ძალი უპირველესი სორტის ფუჩუ-ფუ ჩაი, 1-ლი მოკრეფისა. გირვ. 2 მ. წმინდა ჩაი, უქაღალდოთ. ამ ჩაისა სხვა მაღაზიებში ყოველგან ისყიდება 3-მის მანეთიდგან 4-ს მანეთამდინ. რადგანაც ტანისამოსის ვაჭრობას ვსპობთ—ქალების დოლმანები და სხვა ტანისამოსები ისყიდება 20% ნაკლებ. (10—8)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| – — 1—80 | — — 2—50 |
| სა-ეკკლესიო 2-- ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—69)

გორის უეზდში სოფელს კაყაში იყიდება ბბ. რეიტრის კუთვნილი ოთხიათასი ფუთი თივა, 550 ფუთი ქერი, 1500 ფუთი პური ხორბლათა.

მღ. შვილი პეტრე მახარობელიძე. (1—1)

## ქუთაისის ქალაქის გამგეობა,

ამით აცნობებს უუ. ამომრჩევლებთ, რომ მომავალს 1884—1887 წწ. ქუთაისის ქალაქის რჩევის ხმოსნების არჩევანი დანიშნულია: პირველი რიგისა 20-ს, მეორესი—23 და მესამესი 24-ს იანვარს ამა 1884 წ. (3—1)

## «კავკაზის აქეთა მხრის რკინის გზის მოძრაობის უფროსი.

აცხადებს, რომ ამ იანვრის 22-ში მის კანტორაში, რომელიც იმყოფება რკინის გზის სამართველოში, მიხაილოვის ქუჩაზედ, პაატოვის სახლებში, გაიცემა ფოდრათით ერთის წლით, ლამპების, ფარნებისა და სხვა-და-სხვა ყუსტის ჭურჭლის გაკეთება და დაზიანებულების შეკეთება რკინის გზის სტანციებში. რისათვისაც იგი მოიწვევს ზემოაღნიშნულ დროისთვის ამ ფოდრათის აღების მსურველებს». (8—1)

მშვენიერი ფუჩუ-ფუჩაი ამ წლის ბოლომდის იყიდება რვა აბაზად.

ინგლისის მაღაზიაში.

ნუ მისცემთ 2 მან. 20 კაპ. ან 2 მან. 40 კაპ. უარესს ჩაიში სხვაგან.

იქვე იყიდება ხელოვნური ყვავილები მინის ხუფებით, ლამპა, ქუდები, დრატვა, ტრიკო და სხვა მრავალი საქონელი ნახევარ ფასად. (18—14)

ი ნ გ ლ ი ს ი ს  მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

## თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—83)



## მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

### ბიბლიოგრაფიული განცხადება.

კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილთა ყრმათათვის, წიგნი პირველი, ი. გოგებაშვილის რედაქციით, გამოვიდა სტამბიდგან და ისყიდება გამომცემლის გრიქუროვის წიგნების მაღაზიაში. ფასი ორი აბაზი; ათი ეგზემპლიარის მსყიდველს წიგნი დაეთმობა 33 კაპეიკათა.—

ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილთა ყრმათათვის, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ, ისყიდება იქვე; ფასი ექვსი შაური; ათი ეგზემპლიარის მყიდველს წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათა.

კარტა საქართველოსი, გამოცემა მეორე, შედგენილი მისგანვე, იყიდება იქვე,—ფასი სამი აბაზი; ათი ეგზემპლიარი მყიდველს კარტი დაეთმობა ათ შაურათა.— (10—6)

ს ა გ ლ ო ბ უ ს ო 

კ ა ლ მ ე ბ ი

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის ,,ხელისათვის‘‘—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაგრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხისატკისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეჭდები, ზარები, ბინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქქიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—17)


Довв. цензур. Тифлисъ, 16 Января 1884 г. ქ. ხელაძის სტამბა (Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ვ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.